საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5889/01
26/06/2020

5889-01-2-202006261246

შპს „ემ ინვესტის“ დირექტორს

ბატონ უჩა ექიზაშვილს

მის: ქ. თბილისი, ბ. კვერნაძის N 13, კორპ. 5, ბ. N 88

ბატონო უჩა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 ივნისის N8736 განცხადება, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, შპს „ემ ინვესტის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა/ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი არ შეესაბამება 2013 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N414 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ტექსტში სიტყვა „ნორმატივები“ შესაცვლელია ტერმინით „ნორმები“. ასევე დოკუმენტში არ არის დასაბუთებული რამდენად უზრუნველყოფს გზშ-ის ანგარიშში განხილული სალექარი ჩამდინარე წყლების გაწმენდას შეწონილი ნაწილაკებისგან მითითებულ ზღვრულად დასაშვებ ნორმამდე - 60 მგ/ლ-მდე. ზემოაღნიშნული ინფორმაცია და განმარტებები ასევე ასახული უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან მიმართებითაც.

ამასთან, ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოსაყვანი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ელექტრონულ და ნაბეჭდ ვერსიებში მოცემული გენ-გეგმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინსიტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების

გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე